პროფესიულ ტრავმატიზაციაზე მოქმედი რისკის და დამცველობითი ფაქტორები ფსიქოლოგიურ ტრავმასთან მომუშავე ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებში

თამარ პინაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ პინაიშვილი

15.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია ფსიქოლოგიურ ტრავმასთან მომუშავე ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტთა პროფესიული ტრავმატიზაციის რისკისა და დამცველობითი ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი.

ფსიქოლოგიურ ტრავმასთან მომუშავე სპეციალისტები პროფესიული ტრავმატიზაციის რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ, რადგან მათი ყოველდღიური საქმიანობა უკავშირდება ტრავმირებულ ადამიანთა თავს გადამხდარ მძიმე ისტორიების მოსმენას. კვლევების მიხედვით მეორადი ექსპოზიცია მეორადი ტრავმული სტრესის ერთ-ერთი პრედიქტორია და ახასიათებს პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობისთვის დამახასიათებელი სიმპტომები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მოხდეს პროფესიული ტრავმატიზაციის პრედიქტორების იდენტიფიცირება მომავალში მისი პრევენციისთვის და სპეციალისტთა ფსიქიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვისთვის.

კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდით და მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში რესპონდენტებმა შეავსეს კითხვარი, რომელიც ფარავდა დემოგრაფიულ, სამუშაოსთან, სამსახურეობრივი სტრესის გამკლავებასთან დაკავშირებულ კითხვებს და პროფესიული ცხოვრების ხარისხის კითხვარს. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტრავმაზე ფოკუსირებული მომსახურების გაუმჯობესების გზები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ფსიქიკური ჯანმრთელობის 28 სპეციალისტმა, რომლებიც მუშაობენ ტრავმული გამოცდილების მქონე კლიენტებთან.

კვლევის შედეგების თანახმად, რეგულარული სუპერვიზია, ნაკლები სამუშაო დატვირთვა და ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება პროფესიული ტრავმატიზაციის დამცველობითი ორგანიზაციული ფაქტორებია. ინდივიდური ფაქტორებიდან პროფესიული ტრავმატიზაციის დამცველობითი ფაქტორებია ახალგაზრდა ასაკი, თავისუფალი და სამსახურეობრივი დროის ერთმანეთისგან გამიჯვნა და სპეციალიზირებული განათლება ფსიქოტრავმის მიმართულებით.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პროფესიული ტრავმატიზაციის პრედიქტორების გამოსაკვეთად, რათა როგორც ორგანიზაციულ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე მოხდეს პრევენციულ მეთოდებზე ზრუნვა.

საძიებო სიტყვები

პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, პროფესიული ტრავმატიზაცია, მეორადი ტრავმული სტრესი, მეორადი ტრავმატიზაცია.

Abstract

The purpose of the present study is to identify and analyze the risk and protective factors of professional traumatization of mental health specialists working with psychological trauma.

Specialists working with psychological trauma represent a risk group of professional traumatization because their daily work is related to listening to the hard stories of traumatized people. According to research, secondary exposure is one of the predictors of secondary traumatic stress and is characterized by symptoms similar to post-traumatic stress disorder. It is important to identify predictors of secondary traumatization in order to prevent it in the future and to care for the mental well-being of mental health specialists.

The research was conducted using a mixed method and included quantitative and qualitative components. As part of the quantitative component respondents filled out a questionnaire that included demographic, work-related questions, coping with job stress, and a quality of professional life questionnaire (ProQOL). Within the framework of the qualitative component, ways of improving trauma-focused services were studied. 28 mental health professionals who work with clients with traumatic experiences participated in the study.

According to the research results, regular supervision, less work load and long work experience are protective organizational factors of professional traumatization. Among the individual factors, protective factors of professional traumatization are young age, separation of free time and working time and specialized education in the direction of psychotrauma.

Key words

Post-traumatic stress disorder, Vicarious trauma, Secondary trauma, Secondary traumatic stress.

მადლობა

მადლობას ვუხდი კვლევის ხელმძღვანელს, ქეთევან ფილაურს, კვლევის ფარგლებში გამოცდილების გაზიარების, მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიზაციის ცენტრი GCRT-ის დირექტორს, ლელა ცისკარიშვილს, კვლევისათვის რესპონდენტთა მოძიებაში დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.